

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 7

ბასს 29-ის - „ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში“- გადაანგარიშების მიდგომის გამოყენება

წყაროები

- ბასს 12 – „მოგებიდან გადასახადები“.
- ბასს 29 – „ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში“.

ამოსავალი ინფორმაცია

1. წინამდებარე ინტერპრეტაცია მითითებებს იძლევა, როგორ გამოიყენება ბასს 29 იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო ჰიპერინფლაციის არსებობას დაადგენს¹ მისი სამუშაო ვალუტის შესაბამის ეკონომიკურ გარემოში, რომელიც წინა პერიოდში ჰიპერინფლაციური არ იყო და, მაშასადამე, საწარმო ახდენს ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშებას ბასს 29-ის შესაბამისად.

განსახილველი საკითხები

2. მოცემული ინტერპრეტაცია ეხება შემდეგ საკითხებს:
 - ა) როგორ უნდა გავიგოთ ბასს 29-ის მე-8 პუნქტის მოთხოვნა „თავიანთი ფინანსური ანგარიშგება უნდა ჩამოაყალიბონ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ ზომის ერთეულებში“, როდესაც საწარმო იყენებს ამ სტანდარტს?
 - ბ) როგორ უნდა ასახოს საწარმომ გადავადებული გადასახადის საწყისი ნაშთის მუხლები გადაანგარიშებულ ფინანსურ ანგარიშგებაში?

კონსენსუსი

3. იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო ჰიპერინფლაციის არსებობას დაადგენს მისი სამუშაო ვალუტის შესაბამის ეკონომიკურ გარემოში, რომელიც წინა პერიოდში ჰიპერინფლაციური არ იყო, საწარმომ ბასს 29-ის მოთხოვნები ისე უნდა გამოიყენოს, თითქოს ეს ეკონომიკა ყოველთვის ჰიპერინფლაციური იყო. ამგვარად, პირვანდელი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებთან დაკავშირებით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის არსებული საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა გადაანგარიშდეს, რათა ასახოს ინფლაციის გავლენა იმ დღიდან, როდესაც აქტივები იყო შეძენილი და ვალდებულებები აღებული – საანგარიშგებო თარიღამდე. საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება არაფულადი მუხლებისათვის, რომლებიც ასახული არ არის აქტივის შეძენის ან ვალდებულების აღების თარიღის შესაფერისი თანხებით, გადაანგარიშებამ ინფლაციის გავლენა უნდა ასახოს იმ თარიღებიდან, როდესაც მათი საბალანსო ღირებულებები განისაზღვრა, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე.
4. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გადავადებული გადასახადის მუხლები აღიარდება და შეფასდება ბასს 12-ის შესაბამისად. ამასთან, გადავადებული გადასახადის მონაცემები საანგარიშგებო პერიოდის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) საწარმო ხელახლა შეაფასებს გადავადებული გადასახადის მუხლებს ბასს 12-ის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც გადაიანგარიშებს საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ფინანსური მდგომარეობის მუხლებს.

¹ ჰიპერინფლაციის დადგენა ეყრდნობა საწარმოს მიერ ბასს 29-ის მე-3 პუნქტის კრიტერიუმების განხილვას.

რეობის ანგარიშგების თარიღისათვის არსებული არაფულადი მუხლების ნომინალურ საბალანსო ღირებულებებს, ამ თარიღისათვის არსებული ზომის ერთეულით;

- ბ) (ა) პუნქტის მიხედვით ხელახლა შეფასებული გადავადებული გადასახადის მუხლები გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან საბოლოო ბალანსის შედგენის თარიღამდე, ზომის ერთეულში მომხდარი ცვლილების გათვალისწინებით.

საწარმო (ა) და (ბ) პუნქტებში განხილულ მიდგომას იყენებს იმ საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ნებისმიერი შესადარისი პერიოდის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული გადავადებული გადასახადის მუხლების გადასაანგარიშებლად, რომლისთვისაც საწარმო ბასს 29-ს იყენებს.

- 5. მას შემდეგ, რაც საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას გადაიანგარიშებს, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ყველა შესაბამისი მონაცემი, მათ შორის, გადავადებული გადასახადის მუხლები, გადაანგარიშდება ზომის ერთეულში მომხდარი ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც დაფიქსირდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, წინა საანგარიშგებო პერიოდის გადაანგარიშებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით.

ძალაში შესვლის თარიღი

- 6. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2006 წლის 1 მარტს ან მის შემდეგ, რეკომენდებულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას გამოიყენებს 2006 წლის 1 მარტამდე დაწყებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.